განმცხადებელი: საქართველოს ძიძების ასოციაცია

თარიღი: 13-03-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1; პრინციპი 3; პრინციპი 4; პრინციპი 5; პრინციპი 7; პრინციპი 8; პრინციპი 9

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: ნინი ტაველიძე, გიორგი გუჯაბიძე, ზურაბ მანაგაძე, ირაკლი ჭარხალაშვილი.

სადავო მასალა: გადაცემა PS, რუსთავი 2 https://www.facebook.com/watch/?v=195053656481522

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: Rustavi 2 • რუსთავი 2 აგრძელებს ძიძებისგან მტრის ხატის შექმნას და და ძიძების მოძალადეებად გამოცხადებას სიუჟეტში სათაურით "მოძალადე ძიძები". P.S-ში გასული სიუჟეტის მთავარი სათქმელი არის ის, რომ ბავშვზე ძიძების მხრიდან ძალადობის სტატისტიკა საგანგაშოა. სინამდვილეში კი სიუჟეტი არ წარმოადგენს არც ერთ მტკიცებულებას, რომელიც ამ განცხადების სიმართლეში დაგვარწმუნებდა. სიუჟეტი ეყრდნობა მხოლოდ გათამაშებულ ექსპერიმენტს და მისით მანიპულირებს. აქვე საყურადღებოა ექსპერიმენტის ფარგლებში არაეთიკური ქცევა ბავშვის მიმართ (!!) და ძალადობის მაპროვოცირებელი კადრები. ჩვენი შეფასებით, სიუჟეტი არღვევს ეთიკის ქარტიის რამდენიმე პრინციპს: პრინციპი 3 - ავრცელებს ინფორმაციას დაუდასტურებელი წყაროს მიხედვით, რომ ძიძების მხრიდან ძალადობის შემთხვევები მასიურ ხასიათს ატარებს, პრინციპი 4: გათამაშებული სცენარის მიხედვით, ჟურნალისტებს საზოგადოების ქცევაზე ზედაპირული და მარტივად მანიპულირებადი დასკვნა გამოაქვთ (**რაც პირველ პრინციპსაც არღვევს**). ბავშვის მიმართ ხორციელდება არაეთიკური, შეურაცხმყოფელი ქცევა, რაც სავარაუდოდ საზიანოა ბავშვის ფსიქიკისთვის. პრინტიპი 5: ჩვენ მოვითხოვთ, აღნიშნულმა მედიამ მოამზადოს სიუჟეტი, რომელიც იქნება აღნიშნული სიუჟეტის საპირწონე, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის გამოყენებით მომზადებული. წარმოადგენს ვალიდურ წყაროებს ნებისმიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, არ გამოიყენებს გათამაშებულ და მანიპულირებად სცენარებს, რომელიც შეურაცხმყოფელი და დამაზიანებელია ოჯახში დასაქმებული ქალების პროფესიული და პიროვნული პოზიციებისთვის. პრინციპი 7: სახეზეა კლასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევა, როცა ძიძები, როგორც დაქირავებული ადამიანები მოწყვლადები და გასაგნებულები ხდებიან საინფორმაციო საშუალებების მაკონტროლებელი ადამიანების (ამ შემთხვევაში ტელევიზიის და ჟურნალისტების) მხრიდან და იძულებული არიან თავი იმართლონ უსაფუძვლო ბრალდებების წინაშე, დაზარალდნენ ფსიქოლოგიურად, პიროვნულად და ზოგჯერ ფინანსურადაც გამრუდებული საზოგადოებრივ აზრის გამო. პრინციპი 8: გათამაშებულ კადრებში ირღვევა ბავშვის ინტერესები, რადგან მასზე ხორციელდება ზეწოლა, რომელიც არ ვიცით რა კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაზე. ამავე დროს საზოგადოების თვალში ამგვარი არაეთიკური ქცევა გაიგივდება ჩვეულ ქცევად ძიძის მხრიდან ბავშვთან მიმართებაში. პრინციპი 9: გამოვთქვამთ ეჭვს, რომ სიუჟეტი მომზადებული იყო ძიძის გადასამზადებელი კურსების რომელიმე ცენტრის დაკვეთით, რადგან სიუჟეტში ჟღერდება მოწოდება და რეკომენდაცია, ძიძების აუცილებელი პროფესიული გადამზადების შესახებ. თუ ეს ასეა, მოვითხოვთ ამ ფაქტის გასაჯაროვებას.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები